

აკაკი წერეთელი

(1840-1915)

**ჩემი
თავგადასავალი**

თარგმნა

დონალდ რეიფილდმა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი – 2012

AKAKI TSERETELI

(1840-1915)

THE STORY OF MY LIFE

**Translated from Georgian by
DONALD RAYFIELD**



ILIA STATE UNIVERSITY

Tbilisi – 2012

აკაკი წერეთელი
ჩემი თავბადასაგალი

Akaki Tsereteli
THE STORY OF MY LIFE

რედაქტორი: შუქია აფრიდონიძე
Editor: Shukia Apridonidze

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

Computer
operator: Ketevan Gogava

ყდაზე მოთავსებულია აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის ფოტო სოფ. სხვიტორში
On the cover: photo of Akaki Tsereteli's memorial house in the village of Skhvitori

© 2012, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University

ISBN 978-9941-18-103-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

რედაქტორისაგან:

აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ ინგლისური თარგმანი ეკუთვნის გამოჩენილ ბრიტანელ მკვლევარსა და მთარგმნელს, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორს – დონალდ რეიფილდს, რომელიც თავისი ნაყოფიერი ქართველოლოგიური შრომებით კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. საკმარისია დავასახელოთ „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც ლონდონსა და ოქსფორდში სამჯერ გამოიცა (1994; 2000; 2010); დიდი (140.000-სიტყვიანი) ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ორტომეული (2006, ლონდონი); სტატიები კავკასიის დენდრონიმებზე, მეცხვარეობისა თუ ორნითოლოგიის ტერმინოლოგიაზე, ხალხური მედიცინის საკითხებზე, საგმირო ეთოსის შესახებ ქართულ და რუსულ ფოლკლორში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დ. რეიფილდის თარგმანები: გალაკტიონ და ტიციან ტაბიძის ლექსები, ვაჟას სამი პოემა („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“), ილია ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, ხალხური „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი პოეტის ლექსები... ამჟამად ამთავრებს ოთარ ჭილაძის ერთ-ერთ ბოლო რომანს „აველუმს“.

„ჩემი თავგადასავლის“ თარგმანი დიდი დავიანებით გამოდის: იგი ოცი წლის წინათ ითარგმნა – ა. წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის. სამწუხაროდ, მისი გამოცემა ჩვენში დღემდე ვერ მოხერხდა. ინგლისური ენის შემსწავლელთა დასახმარებლად მიზანშეწონილად ვცანით პარალელური, ორენოვანი ტექსტების გამოქვეყნება.

A Word from the Editor:

The English translation of *The Story of My Life* by Akaki Tsereteli was performed by a prominent British scholar and translator, Professor at the London University (QMW) – Mr. Donald Rayfield, whose prolific works in the field of Kartvelology are well known to Georgian readers. It will suffice to mention books: *The Literature of Georgia: A History* (edited three times in London and Oxford, in 1994, 2000, 2010); *A Comprehensive Georgian-English Dictionary*, over 140,000 entries (Editor in chief D. Rayfield. London, Garnett Press, 2006, 2 vls. xI+1727 pp); articles: *Georgian dendronyms*, *Sheepkeeping terminology in the Caucasus*, *Georgian ornithonyms and their relation to Caucasian and Armenian*, and *Medieval Migraine: Georgian and Folklore*, as well as: *The Heroic Ethos in Georgian and Russian folk poetry*.

Especially should be noted Donald Rayfield's translations: *Ten poems* by Galaktion Tabidze; three narrative poems by Vazha-Pshavela (*Aluda Ketelauri*, *Host and Guest*, *The Snake-Eater*); a narrative poem by Ilia Chavchavadze *King Dimitri's Sacrifice*; a Georgian folk poem *The Young Man and the Leopard*, and poems by some modern young Georgian poets, etc.

At present Donald Rayfield is completing work on the translation of Otar Chiladze's novel "Avellum".

The publication of the English translation of *The Story of My Life* is taking place with a considerable delay – the book was translated as early as 20 years ago to commemorate the 150th birthday of Akaki Tsereteli. Unfortunately, it was not possible to publish it in Georgia until now. For the convenience of those who study the English language, we found it appropriate to publish parallel, bilingual texts.

შინაარსი

პირველი ნაწილი

I	2
II	82
III	114

მეორე ნაწილი

I	136
---------	-----

CONTENTS

Part one


I	2
II	82
III	114

Part two

I	136
---------	-----

აკაკი წერეთელი
ჩემი თავგადასავალი

Akaki Tsereteli
THE STORY OF MY LIFE



პირველი ნაწილი

I

ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება, იზრდება, დაბერდება – კვდება!.. წყალი რა არის... წყალი!.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე.ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ-ნელა, ახალფეხადგმულ ბავშვივით დაუყვება დაღმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულდება რომელსამე ხევში, სადაც, როგორც აღვირუსხმელი, სისხლჭარბი, თავმოძწონე და შეუბოვარი, სანავარდოდ გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძაღვის, აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ-გრიალით!.. უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავგამეტებით აქეთ-იქით ეხლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მოწინააღმდეგე!.. მაგრამ, ვერ შემძლები ამისი, ზართა და ზეიმით ჭალებისაკენ მიექანება. აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჯდარი და გულსავსე, ვაჟკაცური მედიდურობით, მშვიდობიანად ტალღებს ტალღებით მიაგორებს!.. მიდის, მიშხუს, ზღვისაკენ თავმიცემული, შორის გზით მიმავალი, და, რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდეც შეჩერდება ერთი შეჩერება... ტბორავს, თითქოს უნდა, რომ უკანასკნელად ერთი კიდეგ მოიხედოს უკანვე, თვალი გადაავლოს თავის წარსულს, ფერადად გავლილ შორეულ გზას, და მერე კი საუკუნოდ ჩაინთქას, ჩაიღუბოს ზღვის უფსკრულში!..

მიყვარს საზოგადოდ ბავშვი, უგულითადესად პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეჭრფიალები!..

აღბათ, ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მიჩრეენია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას, ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.

სწორედ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე, დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე – ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს!.. აი, ამ სახლში დაგბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841 მიწერია. ნათქვამია: ადამის შვილი, გაჩნდება თუ

PART ONE

I

Everything in creation, animate or inanimate, visible or invisible, is subject to the same universal law: it is born, it grows, it ages and it dies. Take water for example. Water! Even an ordinary river cannot escape this immutable process: right from birth, whether it begins as water on some remote mountain slope or whether it starts, like a child beginning to toddle, by slowly seeping through the ground, it will grow as it descends, strengthening its hold on life until it tumbles and burbles into a gorge, where, like an unbridled, hotblooded, confident and arrogant youth looking for adventure, it now brooks no resistance and is deterred by nothing. It runs and leaps onwards, crashing and roaring... It leaps on to immovable boulders and pits all its strength against walls of rock, attacking from all directions trying to break down and sweep away whatever opposes it. But unable to do so, it nevertheless sweeps down triumphantly towards the groves. Here, filled with pride, moulded in a deep riverbed, contented, manly and haughty, it flows in endless, quiet eddies. It heads along its long course towards the sea, murmuring as it goes, and the closer it gets to its inevitable destination, like an old man, the less haste it shows, and finally it pauses for a while. It spreads out in a lake as though it wants to take one last look behind it, to survey its past, the long eventful course it has taken before being swallowed up for ever to perish in the abysses of the ocean.

Generally, I love children; I have the deepest respect for the elderly; I give manhood the esteem it deserves. But my real fondness is for youth: youth inspires me with the most ecstatic affection.

I suppose the reason must be that of all waters I prefer the capricious stream of the gorge to any other sort of river, and above all other streams I put the Chikhura. The Chikhura was my very own font and my first mirror.

On a piece of high ground on the banks of the Chikhura stands a two-storey house made of stone and lime. This rough building has the height of a small tower, the length of a hall and the thickness of a fortress, but resembles none of these. It was in this house that I am told I was born at dawn on the 9th June 1840, although 1841 is written on my baptismal certificate. No sooner has a human child appeared on earth than a star, already inscribed with his or her fate,

არა ქვეყნად, მისი ბედის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედება, წინასწარი ზედწარწერითო! თუ ეს მართალია, ეჭვი არ არის, რომ ჩემს ვარსკვლავზე-დაც შემდეგი შაირი წერებულა:

„ერთი რამ ცხოველი არის,
ხმას აწვდენს შორით შორსაო,
თავისთვის ჩოჩორს აკეთებს,
სხვისთვის კი კაი ჯორსაო“.

იმ თავითვე დავბადებულვარ თუ არა, ვაჟის შეძენით გახარებულ მამაჩემს დიდი ხნის გარისხული და სასახლიდან გაგდებული შინაყმა შეურტიგებია, და მე კი ბებიას მაშინვე გავუღალახავარ. აი, როგორ მოჰყვებოდა ხოლმე ამ ამბავს გაზეპირებულ „მამაო ჩვენო“-სავით ცხონებული გადიარევი: „ვენაცვალე ჩემს კაკოს! (ბავშვობისას კაკოს მეძახდნენ) ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყო: დაიბადა ერთი რაღაც დათვისბელა, ბამბისქულა და ისე გაეკმიდა სული, რომ კრინტს არა სძრავდაო! ეს თურმე იმას ჰფიქრობდა: საიდან სად მოვედიო? და ბებიას კი გულშემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყო!.. ერთი-ორი კიდეც შემოუტაცუნა ხელი და ძლივს ხმა ამოაღებინაო! ვის უნახავს ამის ტირილი? სულ იცინოდაო“.

ამას სხვებიც ამბობენ. დიახ, სულ თურმე ვიცინოდი, და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნებაც მოუხდენია: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლის გამდელი და, მომცინარი რომ ვუნახავარ, უთქვამს: „გუიმიე!.. ჩემი გაზრდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ სულელი გამოვარო!“ ჩემ გამდელს სწყენია ეს და უბასუხნია: „როგორ თუ სულელიო?! ანგელოზია და ანგელოზებს შესცინის!.. იმათ ეთამაშებარო!.. სულელები ზოგი თქვენკენ მოიკითხეო“ და სხვანი!.. წალაპარაკებულან და სცემიან ერთმანეთს. ჩვენს გამდელს ჩვენი მოსამსახურეები მოჰხმარებინან, მეზობლისას – მათი; ბოლოს ქალბატონებიც ჩარეულან (რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვითა და მუქარით და არა საქმით). ამ ამბავს მიუწყევია ვაჟბატონებამდისაც და ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შუა დიდი უსიამოვნობა. აღარც, თურმე, ეკარებოდნენ ერთმანეთს და აღარც ხმასა სცემდნენ!.. მხოლოდ თევდორობის კვირაში, ზიარების წინეთ, ოქრობირ მღვდლის რჩევით შერიგებულან და მაშინაც კიდეც მამაჩემს სოფელში კაცი გაუგზავნია და შეუთვლია ძიძისათვის: „აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ, და მტრებს თვალეები დაგუყენოვო!“ გამოვუყვანივართ, მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას გაკვირვება, რომ „ხითხითა ბიჭს“, ჩვეულების წინააღმდეგ, ერთი ღიმილიც არ მომსვლია, ისე თურმე გყოფილვარ გაბრუებულსავით.

is forged in the heavens. If this is so, then there is no doubt that the following verse was inscribed on my star:

There is one animal alive
Which makes its voice heard far and wide.
It thinks of itself as a donkey foal,
But to others it is a working mule.

No sooner had I been born than my father, overjoyed at having begotten a boy, made his peace with a house-serf, whom he had thrown out of the manor house in anger, and disposed of me by handing me over to my grandmother. This is how my blessed nurse used to tell me the story, which I knew by heart like the Lord's Prayer: "My darling little Kako!" (Even as a baby I was called Kako.) "Even his birth was like nobody else's: when he was born he was like a bear cub, like a handful of cotton wool and he was so quiet that he never uttered a cheep. He seemed to be thinking, where have I come from, where am I? Grandmother thought he was unconscious and started pinching him. She touched gently him once or twice and he just made a little noise. Nobody ever saw him crying. He did nothing but laugh."

Other people have said this too. In fact I did seem to be always laughing. This laughter gave rise to an unpleasant incident. Once our neighbour's nurse came over, saw me laughing said, "Oh dear. God protect my own child, but this child is laughing so much that he is going to grow up an idiot." My nurse was offended and replied, "What do you mean 'idiot'? He's an angel and is laughing with the angels. He's playing with them. You should be worrying about having an idiot." And she said more. They got carried away and came to blows. Our servants backed my nurse and the neighbour's nurse was supported by theirs. In the end the ladies of the houses intervened (only with words and threats, not physically, of course). The affair reached the ears of the masters and a nasty atmosphere came between the two families. They broke off all contact and no longer spoke to each other. Only on St Theodore's day, the first Sunday of Lent, before communion, did Okropiri, our priest, order them to make peace: immediately after that my father sent a man to the village with a message to my wet-nurse, "Bring my giggling little lad over to me so that the neighbours can see him and I can make my enemies envious." They brought me over, but imagine everyone's amazement when the 'giggling lad', quite unlike his usual self, didn't even smile, as though I were dumbfounded.

აქ ცხადია, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშვს სასახლეში ყველაფერი მეუცხოვებოდა და გაშტერებული ვიქნებოდი, მაგრამ ასე არ გაუგიათ და არ აუხსნიათ ჩვენებს!.. იმათ უფიქრიათ: ეს სწორედ შური-სა და სიხარბის საქმეა, თვალი ჰკრეს, გადალესო და ისევ საჩქაროდ დავუბრუნებივართ სოფელში. ძიძასაც გზაზე ერთ ვილაც მკითხავთან გაუფლია, გამოულოცვინებია... შეუბამთ ჩემთვის ყელზე ღინჭილა, მწარებალი და მიუყვანივართ სოფელში – შინ. იქ, რასაკვირველია, მომბრუნებია გული და ისევ დამიწყია სიცილი. ჩემი ძიძა დარწმუნებულია, რომ სწორედ გასჭრა შელოცვამ, გამობრუნდა ყმაწვილი, ახლა აღარა უჭირს რაო და მახარობელიც უფრენია სასახლისაკენ.

ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები – აზნაურებს და აზნაურები კი – გლეხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდნენ. ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყვნ და შვილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო: ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდილ-გაზრდილობა. არა თუ ძიძიშვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზრდილის გულისათვის, და გაზრდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს, და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრული ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც. და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია არ გამოგტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე.ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის: ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახ-

For me, obviously, a ten-month old baby who had been in the village, everything in the manor house was strange and I was bound to be aghast, but my family couldn't grasp this or account for it. They thought jealousy and greed were at work, that someone had put the evil eye on me, and I was taken back to the village just as hastily as I had been brought. On the way back to my wet-nurse I was taken to a wise woman to be blessed with a spell. They tied a little shell and a wild cherry round my neck and I was taken back the village. There, naturally, I felt much better and began to laugh. My wet-nurse was convinced that it was the spell which had worked and restored the child; they reported that there was nothing wrong with me now and a messenger flew with the good news to the manor house.

In our country using wet-nurse and sending a baby to the village was a historic custom; kings and rulers used to send their their children to be brought up by princes, while the nobility used the gentry, and the gentry used the peasants. More often than not, even princes had their children brought up by peasants. It must not be thought that parents were heartless in those days or that they loved their children less than modern mothers do. There were quite different reasons and quite a different basis for it: parenting and fostering bound together the different callings in life, quite apart from the parent-godparent relationship. Even links of blood and flesh did not seem to be as close as the parent-foster bond. Not just the wet-nurse's own children or close relatives but their distant kith and kin were ready to sacrifice themselves on any occasion for the sake of the foster child. The foster child would permanently protect these people and it was thanks to this bond that right up to the last century in our country there was a more humane and noble relationship between high and low estates than in other lands. It goes without saying that this was the excellent reason why I too had been sent to the village. And blessed be the custom! I cannot help confessing that if there is anything good and decent left in me then it is largely because I was entrusted to the village and grew up with peasant children.

In the Tsereteli lands in upper Imeretia there are many good villages and Savane, the village where my wet-nurse lived and where I was brought up, was one of them. Not just because of its views, but because of the purity of its air this village was marvellous and its name, Savane, meant 'a place to recuperate in'. It isn't far from Sachkhere; at most it was half an hour's walk from our house. Here I learnt to walk and to speak and here my memories begin. I can see as though before my eyes the wooden house thatched with bracken, with a door in front

ლი და წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-უსარკმელო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდებოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით იდგა დიდი, უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევით და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუყოველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ და დაღამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუვნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა ბირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თონა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი. არ ვიცოდი მხოლოდ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც იმიტომ, რომ ამბობდნენ: „ქალის ხელსაქნარი კაცისათვის დიდი ცოდვა არისო“ და მეც მეჭერა. მჭეროდა, მაგრამ ჩუმად მაინც გავტეხე ცოდვა და ვისწავლე მატყლის ჩერვა და ბამბის პენტვა.

აი, როგორ მოხდა ეს: ჩემი ძიძიშვილი, რომელიც ჩემთან ძუძუშენაწოვარი და ჩემი კბილა იყო, არასოდეს არ მშორდებოდა, სულ ჩემთან იყო. ერთხელ ავდრიანი დღე იყო და, ქალებმა რომ ყანაში მუშებს სამხარი წაუღეს, ჩვენ შინ დაგვტოვეს, თან აღარ წავვიყვანეს. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით? დავრჩით მარტო, – მოგვეწყინა. ჯერ დანასობია ვითამაშეთ, მერე კენჭობია, მაგრამ მაინც ვერ გავერთეთ, რადგანაც ამგვარი სათამაშოები მოწყენილი და მობეზრებული გვქონდა. ძიძიშვილმა მითხრა: „მოდი, ერთი, ბაბუას წვერები დავუჩეროთ!“ ჩამოიღო საჩერელი, მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩერვა, თანაც ასე იძახოდა: „ასე დაეჩეროს ბაბუას წვერებიო“. ეს ძალიან მომეწონა და მეც მივბაძე. დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩერვას; ორჯერ-სამჯერ საჩერლის ჩხირები მეჩხვლიტა, მაგრამ მაინც თავი არ დამინებებია. ვინ იყო ის ბაბუა, ან რას ვერჩოდით? ეს წარმოდგენილი არც ერთს არ გვქონდა, მაგრამ ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუას წვერების ჩერვას, ასე რომ თითქმის დავიქანცეთ... ბოლოს ისევ ძიძიშვილმა სთქვა: „კმა-

and a door behind, with no windows or loopholes, just two vents or smoke holes through which smoke left the house and light entered. On the central hearth, lying on its side like a troll, was a gigantic tree-stump and winter or summer, never dying down, a roaring fire blazed. A peasant family is constantly on the move from morning until evening, their work is never over and that is why the children's feelings and minds are always being stimulated. Early in the morning the men go off to work in the fields or the forest, they are brought their breakfast and lunch tea out there and they are lucky if they get home by evening. The women are busy with household tasks. They have the animals to look after, watching over the poultry, sweeping and cleaning the house, cooking the midday and evening meals and a mass of other petty tasks. Any child that watches and listens to their work cannot help ending up taking part in it and learning. At five or six years of age I knew well how to keep an eye on the cattle, look after the poultry, cook the meals, sift flour, bake bread as well as all sorts of cooking and other things. I had studied how and when to plough, to sow, to hoe, to reap, to prune and so on, so that if I had had the appropriate tools I could have managed it all myself. The only things I didn't know were knitting socks and puttees or embroidery: this was because we were told, "It's a great sin for a man to take up woman's crafts." I believed it, but nevertheless I still committed that sin in secret and learnt to card wool and flail cotton.

This is how it happened: my wet-nurse's son, who had been breast-fed together with me and who was thus the same age as me, never left my side and was always with me. One day, when the weather was bad, the women decided not to take us out but left us indoors while they took the midday meal to the men working in the fields. We protested, but what could we do? We were left on our own and felt mortified. For a time we played at knife-throwing, then a game with pebbles, but we didn't have much fun: we had become depressed and bored with such games. My nurse's son said to me, "Come on, why don't we comb grandfather's beard?" He picked up a wool-carding comb, brought some wool and began carding it, calling out as he did, "That's how grandfather's beard should be combed." I liked the idea and copied him. It took a long time before I found out how to card. Two or three times I pricked myself with the prongs of the comb, but I still persisted. Who was this grandfather, and what did we have against him? That was something neither of us had any idea about, but we were so very excited by combing grandfather's beard that we almost wore ourselves out. Finally my nurse's son said, "That's enough combing, now let's flail and winnow

რა ამდენი ჩეჩვა, ახლა გავპენტოთ და ქარს გავატანოთ ბაბუას წვერებიო“, ჩამოიღო ლარი, მოიტანა ბამბა და დაუწყო პენტვა. თან პენტავდა და თან ლარის ბაგაბუვის ხმაზე ბუქნას უვლიდა. მეც, რასაკვირველია, გავიმეორე მისი ნამოძღვრალი და ისე შეგვიყვარდა ეს „ბაბუას წვერის“ თამაში, რომ შემდეგში, როგორც კი გავიგულეზდით სადმე ქალებს, სულ ამას ვთამაშობდით და ისე კარგადაც კი შევისწავლეთ საჩეჩლოს და ლარის ხელი, რომ ქალებიც ველარა გვკობნიდნენ. ძალიან ვფრთხილობდით, რაც კი შეგვეძლო, მაგრამ ერთხელ მოგვასწრეს ქალებმა, და ჩემმა ძიძამაც ჩამოიკაწრა ლოყები: „ვუიძე! რა გიქნიათ ეგ, შვილებო? ეგ ხომ დიდი ცოდვა არის?.. ქალების ხელსაქნარი რა თქვენი საქმეაო?.. და მერე ბატონებმაც თუ გაიგეს სასახლეში, რას იტყვიანო?“ იმ დღიდან გვიმაღავდნენ ლარსაც და საჩეჩელსაც, მაგრამ გვიანდა იყო. ყმაწვილის გრძნობა-გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობაშია, მაგრამ ფეხმოუკიდებელი კი არის, დიდხანს ერთსა და იმავე საგანს ვერ შერჩება. ერთგვარობა და ერთფერობა მალე ჰბეზრდება და საგნიდან საგანზე გადადის: ამიტომ ოთახში ყოფნა ეზარება, რადგანაც, რაც კი ოთახში რამ არის, ყველაფერი ნაცნობია მისი, თვალი შერგეული აქვს და ველარ ართობს მის გრძნობა-გონებას: ის გარბის მინდვრად ცა და მიწას შუა, სადაც სანახაობა მრავალფერი და უთვალავია მისთვის. შინ დარჩენა ჩემთვისაც, რასაკვირველია, დასჯა იყო. მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდნენ, მაგრამ დიდხნობით ვერც იქ ვრჩებოდი, რადგანაც მე თითქმის ყურადღებას არავინ მაქცევდა, თავის საქმეზე იდგენ. ვინ არ იცის, რომ ყმაწვილი ბუნებათანაზიარია, ყოველთვის ჰსურს, რომ თვისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს ხოლმე, და ეს მხოლოდ შეუძლია თავის ტოლ-ამხანაგებთან. ხშირად, როდესაც ყმაწვილი ველარა ჰხედავს ტოლ-ამხანაგს, უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე... ქვას, ხეს, ყვავილს, ბალახს და სხვა, – პირუტყვებთან ხომ რალა! ისე სიამოვნებით მუსაიფობს ხოლმე, რომ მეტი აღარ შეიძლება!.. მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხსა და გულს არ უხსნიან მათ!.. და ეს კი თვით უფროსების მედიდურობისა და აუყოლოლობის ბრალია. ცხადია, რომ მეც ამიტომ ვერ ვრჩებოდი დიდხანს ყანაში მუშებთან. მაგიერად სამწყემსურში წასვლა, მინდვრად და ტყეში, და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო. გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავვრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდი.

ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსწონილია. ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გენიოსიც რომ იყოს, მისი მასწავლებელი სიტყვით